DIGOMI INVESTMENTS

რწმუნებულება

ორი ათას ცამეტი წლის რვა თებერვალს, შპს "დიღომი ინვესთმენთს"-ის (რეგისტრაციის თარიღი: 28.06.2012წ.; ს.ნ. 404949874, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დასახლება დიდი დიღომი, I მკრ. ცენტრალური გზის მიმდებარე შენი 2) დირექტორი (28/06/2012წ. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან) შალვა კოხრეიძე (დაბადების თარიღი: 07.04.1986; გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი: სამტრედია, რიონის ქ. №68; პირადი №37001014798), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც *"მარწმუნებელი"*, თემურ კვირცხალიას (დაბადების თარიღი: 14.12.1978წ.; გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, გლდანის დასახლება, მამკოდის ქ. №9. პირადი №01001009860), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც *"რწმუნებული"*, ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

წარმოადგინოს მარწმუნებელი თბილისის მერიაში და მის საქალაქო სამსახურებში, მათ შორის თბილისის არქიტექტურაში, რათა განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მშენებლობის პროექტის შეთანხმებასთან, კორექტირებასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან ან/და დემონტაჟთან და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, წარადგინოს არქიტექტურული პროექტი შესათანხმებლად, განახორციელოს პროექტის კორექტირება / შეიტანოს ცვლილებები არსებულ პროექტში, აგრეთვე შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა და დოკუმენტი მარწმუნებლის სახელით; მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტს მარწმუნებლის სახელით და განახორციელოს ყველა მოქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება ზემოთ აღნიშნული დავალებების შესრულებასთან, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არაა გათვალისწინებული ამ რწმუნებულებით, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

რწმუნებულება გაცემულია ერთი წლის ვადით.

შპს „დიღომი ინვესთმენთს"-ის დირექტორი

შალვა კოხრეიძე

საქართველო, თბილისი 0160 გამრეკელის 19/43 ტელ: (+995 32) 2388 772 ფაქსი: +995 32 2388 227
19/43 Gamrekeli St, Tbilisi, Georgia, 0160 Tel: +995 32 2388 772 Fax: +995 32 2388 227.